პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სისხლის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება საქართველოში



განხორციელების ვადა: 15.01.2020 - 14.10.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 300 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 300 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Central Project Management Agency, National Blood Centre of Lithuania, National Public Health Surveillance Laboratory of Lithuania, The Hospital of Lithuanian

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
n/a

პროექტის ვებსაიტები: n/a

პროექტის აღწერა:

პროექტი მხარს უჭერს საქართველოში განხორციელებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამებს, კომუნიკაბელური დაავადებებისა და სისხლის გადასხმის სფეროში. საჯარო სამსახურების დაძმობილების, ე.წ. ,,ტვინინგის" პროექტი, რომელსაც ლიეტუველი, ჰოლანდიელი და ქართველი პარტნიორები ახორციელებენ, გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების მხარდაჭერას გადამდები დაავადებებისა და სისხლის გადასხმის კუთხით. პროექტი ითვალისწინებს სისხლის უსაფრთხოების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის განახლებას და სისხლის ბანკების შეფასებას. ლიეტუველი და ჰოლანდიელი პროფესიონალები ქართველ კოლეგებს დაეხმარებიან შესაძლებლობების განვითარებაში სისხლის გადასხმის სამსახურების შესაბამისი რეორგანიზაციის, ლაბორატორიების ჩამოყალიბების და სისხლის გადასხმის დაწესებულებებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შექმნის მიზნით.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ინსტიტუციური რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდება ახალი სტრუქტურები / მოხდება არსებულ სტრუქტურებში ახალი ფუნქციების ინტეგრირება.

პროექტი ახორციელებს საჭიროების შეფასებას (საკანონმდებლო ბაზა, არსებული ვითარების ანალიზი, სამიზნე ჯგუფების ანალის და სხვა), ქმნის რეკომენდაციებსა და გაიდლაინებს და ქართველ პარტნიორებს ეხმარება ამ ახალი რეგულაციების განხორციელებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქართული კანომდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების დაახლოვება ევროკავშირის სისხლის უსაფრთხოების სტანდარტებთან
- სისხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქართული მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით
- კარგად ორგანიზებული და კოორდინირებული სისხლის გადასხმის სისტემის ჩამოყალიბება
- ეროვნული ორგანოს შექმნა და ფუნქციონირება ევროკავშირის სისხლის უსაფრთხოების დირექტივების გასახორციელებლად
- სისხლის ბანკების შეფასება
- ცენტრალიზებული სისხლის შემოწმების ლაბორატორიის ჩამოყალიბება
- სისხლის გადასხმის უმაღლესი სტანდარტების შემუშავება და დამკვიდრება
- დონორთა უნიფიცირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზის შემუშავება
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სისხლის გადასხმაზე
- მოხალისეობრივ საწყისებზე დაფუძნებული სისხლის გადასხმის სერვისების მიერ უსაფრთხო, ადეკვატური და მდგრადი სისხლის მარაგის უზრუნველყოფა
- შესაბამისი სახელმწიფო და სხვა პარტნიორების შესაძლებლობების განვითარება სისხლის გადასხმის სერვისის უსარფთხოებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად